ევროპის ციხეები: ადგილობრივი სამართლებრივი სიახლეები

დეკემბერი 2022

პრაქტიკოსებისთვის ევროპის მასშტაბით შესაძლოა, რთული იყოს, მიჰყვნენ ციხის შესახებ პრაქტიკას, კანონმდებლობასა და აღმასრულებელი ხელისუფლების განვითარებას ციხის საკითხებთან დაკავშირებით. წინამდებარე შეჯამებაში ***ევროპული ციხის სამართალწარმოების ქსელი (European Prison Litigation Network EPLN), მისი წევრები და პარტნიორები ევროპის მასშტაბით*** *მიზნად ისახავენ ადგილობრივი იურისტებისა და ევროპის მასშტაბით სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების ინფორმირებას ციხის საკითხებზე უმნიშვნელოვანესი სამართლებრივი მოვლენების შესახებ. ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ ეს საშუალებას მოგცემთ, უკეთ მოახდინოთ ევროპული ტენდენციების იდენტიფიცირება და გამოიყენოთ ისინი თქვენს პრაქტიკაში. შეჯამება მოიცავს* ***ევროკავშირის 14 წევრ ქვეყანას****, აგრეთვე* ***რუსეთს, მოლდოვას, უკრაინასა და საქართველოს.***

ვენ მივესალმებით თქვენს უკუკავშირს, თუ როგორ ვაქციოთ ეს ბიულეტენი თქვენთვის უფრო სასარგებლოდ.

ციხის სამართლებრივი სიახლეების მიმოხილვა
აგვისტო-სექტემბერი 2022

დაკავების პირობები ■ ბელგიაში, ბრიუსელში გაიხსნა 1200 პატიმარზე გათვლილი ახალი „მეგა-ციხე“.

დაკავების რეჟიმი ■ ესპანეთის ხელისუფლების მიერ გამოქვეყნებული მონაცემების მიხედვით, 2018 წლის ბოლოდან ქვეყანაში განახევრებულია პატიმართა რაოდენობა, რომლებიც დახურული რეჟიმის ციხეებში იხდიან სასჯელს.

დისციპლინა ■ ბელგიის უზენაესმა ადმინისტრაციულმა სასამართლომ დაადგინა, რომ ციხის დირექტორები ვალდებულნი არ არიან მოითხოვონ ფსიქიატრის შეფასება პატიმრისათვის დისციპლინური სანქციის დაკისრებისას.

გადაწყვეტილების აღსრულება ■ გერმანიის რეგიონულმა სასამართლომ ძალაში დატოვა შეჩერებული სანქცია, რომელიც დაეკისრა ციხის ადმინისტრაციას პატიმრის სასარგებლოდ გამოტანილი განაჩენის შეუსრულებლობისთვის, რომელიც ითხოვდა დღეში დამატებით საათს ეზოსთვის.

დაკავების ევროპული ორდერი ■ ესპანეთის საკონსტიტუციო სასამართლომ დაადგინა, რომ ესპანური სასამართლოების მიერ გაცემული დაკავების ევროპული ორდერის აღსრულების კონტექსტში ხელისუფლება შესაძლებელია იყოს პასუხისმგებელი პატიმრის მიერ აღმასრულებელ ქვეყანაში გატარებულ წინასწარი პატიმრობის დროზე.

ელექტრონული მონიტორინგი ■ ავსტრიაში ვენის უმაღლესმა რეგიონულმა სასამართლომ დაადგინა, რომ პატიმარი, რომელიც მუშაობს სახლიდან, აკმაყოფილებს „შესაბამისი საქმიანობის“ კრიტერიუმს, რაც საჭიროა ელექტრონული მონიტორინგისათვის. **რუმინეთის** ხელისუფლებამ მიიღო

გადაწყვეტილება, რომელშიც დაზუსტებულია ელექტრონული მონიტორინგის სისტემის საპილოტე ფაზის ტექნიკური და ორგანიზაციული ასპექტები.

ჯანმრთელობა ■ ესპანეთში პენიტენციური ინსტიტუტების გენერალურმა სამდივნომ მოიწვია ჯანდაცვის კერძო ინსტიტუტები, რომ შეეთავაზებინათ მათ სერვისები პატიმრებისათვის და წამოიწყო სატელეფონო სამედიცინო კონსულტაციების საპილოტე პროექტი. **მოლდოვაში** 2022 წლის სექტემბერში დაიწყო სამუშაო ჯგუფის პირველი შეხვედრა, რომელსაც დაევალა ციხის ჯანდაცვაში ცვლილებების შემოთავაზება. სამუშო ჯგუფი ჩამოყალიბდა ამ საკითხთან დაკავშირებით ECtHR-ის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების შემდგომ. **ჩეხეთის რესპუბლიკის** საკონსტიტუციო სასამართლომ არ დააკმაყოფილა პატიმრის განაცხადი, როგორც აშკარად დაუსაბუთებელი, რომელიც ასაჩივრებდა საერთო სასამართლოების უარს ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო სასჯელის შეჩერების შესახებ. **რუმინეთის** იუსტიციის სასამართლომ მის ვებ-გვერდზე გამოაქვეყნა კანონ-პროექტი, რომელიც საჯარო დებატების საკითხად იქცა, რომელიც ეხებოდა თავისუფლებააღკვეთილ პირთათვის სამედიცინო დახმარებას, მკურნალობასა და მოვლას.

არასრულწლოვანები ■ ავსტრიის ომბუდსმენმა გამოაქვეყნა ანგარიში არასრულწლოვანთა ციხის შესახებ, რომელშიც მან შეაფასა მათი საცხოვრებელი პირობები, განიხილა სტრუქტურული პრობლემები და წარმოადგინა გაუმჯობესების რეკომენდაციები.

მონიტორინგის ორგანოები ■ ბელგიის ციხის ცენტრალურმა მონიტორინგის საბჭომ წარმოადგინა მისი 2021 წლიური ანგარიში. **რუსეთში** საჯარო მონიტორინგის კომისიები, რომლებსაც ევალებათ დაკავების ადგილების ვიზიტები, უფრო და უფრო ექცევიან სამთავრობო კონტროლის ქვეშ.

არასამთავრობო ორგანიზაციები ■ ესპანეთში ანდალუსიის ადამიანის უფლებების ასოციაციამ გამოაქვეყნა *მის ვებ-გვერდზე ციხის ცხოვრების სახელმძღვანელო* და დახმარება გაუწია პატიმართა უფლებებზე ECtHR-ის სახელმძღვანელოს თარგმნას.

ციხის კანონი ■ საბერძნეთში მზადდება ახალი პენიტენციური კოდექსი. ძირითადი შემოთავაზებული ცვლილებები ეხება დაკავების პირობებს, პატიმართა უფლებებს, პატიმრობის რეჟიმებს, პატიმრობის ალტერნატივებს და პატიმართა რეინტეგრაციას. **პოლონეთში** ძალაში შევიდა პენიტენციური სისტემის რეფორმის პირველი ელემენტები, რომლებიც ეხება ჯანდაცვას, ციხეში ტელეფონების გამოყენებას, ციხეში მუშაობას და ელექტრონულ ზედამხედველობას.

პატიმართა კავშირი ■ ავსტრიაში ჩამოყალიბდა პატიმართა უფლებების პირველი კავშირი.

ციხეები ომის დროს ■ EPLN & „რუსეთი გისოსებს მიღმა“ (Russia Behind Bars) მოუწოდებენ გაეროს ექვს მექანიზმს გამოაცხადონ, რომ **რუსი** ვაგნერის (Wagner) გასამხედროებულ კომპანიაში პატიმრების დაქირავება უკრაინაში საბრძოლველად მოიცავს იძულებით შრომას და თვითნებურ დაკავებას.

პირადი და ოჯახური ცხოვრება ■ რუსული პენიტენციური კოდექსის ცვლილებები რომლებიც ზრდიდნენ მკაცრი რეჟიმის ქვეშ და დისციპლინურ პალატაში მყოფი პატიმრების უფლებას სატელეფონო ზარებზე წარედგინა ქვეყნის პარლამენტის ქვედა პალატას. **პორტუგალიაში** ახალი განკარგულება-კანონი თითოეულ საკანში სტაციონარული ტელეფონის დაყენების უფლებას იძლევა.

სასჯელის კორექტირება ■ ჩეხეთის რესპუბლიკის საკონსტიტუციო სასამართლომ დაადგინა, რომ პირობით გათავისუფლებაზე განაცხადების განხილვისას საერთო სასამართლოების გადაწყვეტილებები სათანადოდ უნდა იყოს მოტივირებული. **რუსეთში** სისხლის სამართლის კოდექსის ცვლილებები ზრდის სავალდებულო პატიმრობის ვადას ორ მესამედამდე, რომლის შემდეგ განსაკუთრებით მძიმე დანაშაულში ბრალდებულ პატიმრებს შეუძლიათ მიმართონ მათი სასჯელის უფრო მსუბუქი სასჯელით - „სავალდებულო შრომა“ - ჩანაცვლებისათვის.

წამება ■ რუსული სასამართლოები აგრძელებენ ციხის ოფიცრების სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობისგან დაცვას პატიმართა წამებისათვის, მიუხედავად რუსეთის სისხლის სამართლის

კოდექსის ბოლო ცვლილებებისა, რომლებიც სახელმწიფო უფლებამოსილი პირების მიერ წამებას სისხლისსამართლებრივ დანაშულად ცნობს.

სრული გამოცემა იხილეთ ჩვენს ვებ-გვერდზე >>

განსაკუთრებულ მადლობას ვუხდით ჩვენს წევრებს და ასოცირებულ პარტნიორებს ბიულეტების ერთობლივად შედგენისათვის! წევრებს და ასოცირებულ პარტნიორებს

EUROPEAN PRISON LITIGATION NETWORK

www.prisonlitigation.org
21ter rue Voltaire
75011 Paris
France
contact@prisonlitigation.org

წინამდებარე საინფორმაციო ბიულეტენი დაფინანსებულია ევროკავშირის, UNAIDS და რობერტ კარის ფონდის მიერ. თუმცა, აქ გამოხატული შეხედულებები და მოსაზრებები ეკუთვნით მხოლოდ ავტორებს და აუცილებლად არ ასახავს ევროკავშირის, ევროკომისიის, UNAIDS ან რობერტ კარის შეხედულებებსა და მოსაზრებებს. ევროკავშირი, ევროკომისია, UNAIDS და არც რობერტ კარის ფონდი არ შეიძლება იყოს მათზე პასუხისმგებელი.

ROBERT CARR FUND For civil society networks

UNAIDS